



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.492221013

თარიღი:29/07/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 95**

**შპს „სანატორიუმ წყალტუბოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.31.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 ივლისის (№48-482220921) წერილი, რომელშიც შპს „სანატორიუმ წყალტუბოს“ დირექტორის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას, მითითებულ შპს-ს გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.31.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, სადაც მოეწყობა საინტერესო კონცეფციის ახალი ლოკაცია. კერძოდ, აღადგენს დაზიანებულ შადრევანს, მოეწყობა მუსიკალური საღამოებისთვის პატარა ამფითეატრი, საცურაო აუზი, საბავშვო გასართობი მოსასვენებელი სივრცეები, მოძრავი სანაყინე, შეიქმნება სასიამოვნო გარემო, თანამედროვე ქართული კერძებისა და სასმელების ასორტიმენტი ღია ცის ქვეშ და ეს ადგილი შეიძენს კულტურის, დასვენების პარკის ფუნქციას და გახდება მიმზიდველი როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსული სტუმრებისათვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს შპს „სანატორიუმ წყალტუბოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.31.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

